ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2806909

ნომერი: AR1434889

თარიღი : 25.08.2016

გაცემის თარიღი : 13.09.2016

გაცნობის თარიღი : 04.10.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი II , ი. პეტრიწის და დ. თავდადებულის ქუჩებს შორის, (ნაკვეთი N6/72) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სამეჰ კამალ ჰანნა ავდალლჰ --- პ/ნ 01191001492
- თბილისი მ.წინამძღვრიშვილის ქ. N 94 ბ. 15

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39

დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

#AR1434889 25.08.2016 განაცხადით, რომლითაც ითხოვთ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემას გაცნობებთ, რომ
საკითხი განხილულ უნდა იქნეს ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომაზე. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების განხილვის დროს გაირკვა, რომ საკითხის აღნიშნულ საბჭოს სხდომაზე განსახილველად საჭიროა რიგი ხარვეზების გასწორება, კერძოდ:
წინასაპროექტო კვლევა არადამაკმაყოფილებელია. სრულყოფილად უნდა იქნეს წარმოდგენილი დასაბუთება სატრანსპორტო სქემის და საპროექტო არეალის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების გათვალისწინებით. ასევე მიწის ნაკვეთზე გამავალ კომუნიკაციასთან მიმართებაში წარმოადგინეთ შესაბამისი მფლობელის პოზიცია გასხვისების არეალთან დაკავშირებით აღნიშნული გაითვალისწინოს საპროექტო ტერიტორიის განაშენიანებაში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად;

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.